1220/102-01

საბანკო გარანტია N 972771-8552628

თბილისი

29 სექტემბერი 2016 წელი

ვის: **საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს** (შემდგომში „ბენეფიციარი")

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ შპს 'საპროექტო - საკონსულტაციო კომპანია ბითი'-მ (ს/კ 204472695) შემდგომში „პრინციპალმა" მესტიის მუნიციპალიტეტში მდებარე თეთნულდის სათხილამურო კომპლექსთან მისასვლელი საავტომობილო გზის დაზიანებული ცალკეული მონაკვეთების აღდგენის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების შედგენაზე და, საჭიროების შემთხვევაში, საავტორო ზედამხედველობის საპროექტო მომსახურების გაწევაზე (CPV71300000) გამარტივებული შესყიდვის შესაბამისად იკისრა ვალდებულება, წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ბენეფიციართან 2016 წლის 23 სექტემბერს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში N სტ.საპრ N2-16 მითითებულ თანხაზე, ჩვენ სს თიბისი ბანკი (მის: საქართველო, ქ. თბილისი 0102, მარჯანიშვილის ქ. #7) (შემდგომში „გარანტი"), თანახმა ვართ, გავცეთ პრინციპალის სახელზე ზემოთ აღნიშნული გარანტია.
ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე საერთო თანხაზე 622.50 (ექვსას ოცდაორი ლარი და 50 თეთრი) ლარი და უპირობოდ (რაც გულისხმობს, რომ საგარანტიო თანხის ანაზღაურების შესახებ ბენეფიციარის წერილობით მოთხოვნაში მითითებული უნდა იყოს თუ რაში გამოიხატება მიმწოდებლის მიერ ვალდებულების დარღვევა, მოთხოვნისა ან/და მოთხოვნილი თანხის ყოველგვარი დასაბუთების და ყველანაირი დოკუმენტაციის წარდგენის ვალდებულების გარეშე) ვკისრულობთ ზემო აღნიშნული თანხის გადახდას პრინციპალის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე, თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე (არაუგვიანეს 5 საბანკო დღისა),

წერილობითი მოთხოვნა წარდგენილ უნდა იქნეს ს.ს. "თიბისი ბანკი"ს მარჯანიშვილის ფილიალის კანცელარიაში სამუშაო საათებში.
წინამდებარე გარანტია ძალაშია: 2017 წლის 01 მარტის ჩათვლით.
აღნიშნულიდან გამომდინარე, ნებისმიერი მოთხოვნა ან პრეტენზია ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს საბანკო გარანტიის ვადის გასვლამდე, გარანტის ზემოთ მითითებულ მისამართზე.

საბანკო გარანტია ავტომატურად უქმდება:

- საბანკო გარანტიის ვადის გასვლით;
- ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე წერილობითი უარის თქმითა და საბანკო გარანტიის ორიგინალის გარანტისათვის დაბრუნებით;
- გარანტის მიერ საგარანტიო თანხის ბენეფიციარისთვის სრულად გადახდით.

წინამდებარე გარანტიაზე საქართველოს სამოქალაქო კოდექსთან ერთად მოქმედებს საერთაშორისო სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ დადგენილი უნიფიცირებული წესები მოთხოვნამდე გარანტიებზე (პუბლიკაცია #758).

სს თიბისი ბანკის მარჯანიშვილის ფილიალის ბექ-ოფისის უფროსი მენეჯერი

თინათინ ზერაგია